



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 2453

10/08/2020

2453-09-2-202008101309



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოხსენებითი ბარათის (N774 10.06.2020) საფუძველზე, გეგზავნებათ „შპს „ლანჩხუთის გურიას“ დაფუძნებაზე მერიისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წერილით, დაფინანსება მოხდება ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან ა(ა)იპ ლანჩხუთის გურიასათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის გიორგი ნაჭყებიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

ვინაიდან საკითხი აქტუალურია ფეხბურთის კლუბის ფუნქციონირებისათვის, გთხოვთ პროექტის განხილვისათვის მოიწვიოთ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

გთხოვთ, თქვენს თანხმობას.

ალექსანდრე სარიშვილი

ა. სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 774

10/06/2020

774-09-3-202006101123



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის

გიორგი ნაჭყებიას

მოხსენებითი ბარათი

მიმდინარე წლის 27 მაისს მუნიციპალიტეტში შემოვიდა ლანჩხუთის „გურიას“
მმართველი კომპანიის ჯი ბი არ -ის დირექტორის ბატონ საბა ჯაფარიძის წერილი,
რომელშიც დასმულია საკითხი კლუბის შემდგომი ფუნქციონირებისათვის
გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

კლუბის კერძო მფლობელობაში გადაცემისათვის მიზანშეწონილია დაფუძნდეს შპს
„ლანჩხუთის გურია“, რომელიც შემდგომ ჩაანაცვლებს ა(ა)იპ „ლანჩხუთის გურიას“
არსებული ვალდებულებების პასუხისმგებლობით.

გთხოვთ დაავალოთ იურიდიულ სამსახურს შესაბამისი პროექტის მომზადება.

პატივისცემით,

გიორგი ნაჭყებია

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური



GFDF

ქართული
ფეხბურთის
განვითარების
ფონდი

№0608-02

6 აგვისტო 2020 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ ბიძინა იმნაიშვილს

ბატონო ბიძინა,

თქვენი №2395-09-2 202008041303 წერილის პასუხად მინდა მოგახსენოთ რომ, ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი მადლობელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის ინსპექტირების სამსახურის მიერ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს ფინანსური საქმიანობით დაინტერესებისა, მისი შესწავლით და წარმოდგენილი ანგარიშით, რომელიც მომავალში დაგვეხმარება მათთან ან მის მემკვიდრესთან ან/და სამართალმემკვიდრესთან ურთიერთობაში და რაიმე სადავო საკითხის წამოჭრის შემთხვევაში მის გადაჭრაში.

აქვე გაცნობებთ, რომ როგორც ჩვენი ამა წლის 22 ივნისის წერილში №2206-01 ავღნიშნეთ ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი მიესალმება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს მიმართ კერძო ინვესტირებით დაინტერესებას და თუკი იმისთვის, რომ კლუბი გადავიდეს კერძო მესაკუთრის მფლობელობაში, აუცილებელია მუნიციპალიტეტის მხრიდან ახალი შპს-ს დაფუძნება, ხოლო აღნიშნული არ გამოიწვევს საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს, სფფ-ს მიერ ორგანიზებული საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ჩემპიონატის შესამე ლიგიდან აღზევებას/დაქვეითებას, ამ შემთხვევაში ჩვენი მხრიდან ვერ ვხედავთ პრობლემას აღნიშნულის განსახორციელებლად.

პატივისცემით,

ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი

დირექტორი:

შალვა გოგოლაძე



ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი
NELP "GEORGIAN FOOTBALL DEVELOPMENT FUND"

შ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
78, CHAVCHAVADZE AVE. TBILISI, GEORGIA

☎ +995 571 561254

footballfund.geo@gmail.com

4043
07 08 20

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 779

11/06/2020

779-09-3-202006111032



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის

იურიდიული სამსახურის უფროსს ბატონ შოთა ჩაგუნავას

ბატონო შოთა,

თქვენი მიმდინარე წლის 10 ივნისის N777 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურია“-ს დაფინანსება ხორციელდება ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან, ამდენად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მისი დაფინანსება არ ხორციელდება, ხოლო რაც შეეხება ა(ა)იპ-ს ბაზაზე შპს-ს დაფუძვნებას მიზანშეწოლილია გაკეთდეს დასკვნა (აუდიტის მიერ) ა(ა)იპ-ს ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება N

2020 წლის აგვისტო
ქ. ლანჩხუთი

შპს ფეხბურთის კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ დაფუძნებაზე მერისათვის თანხმობის
მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს დააფუძნოს შპს ფეხბურთის კლუბი „ლანჩხუთის გურია“.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

შპს ფეხბურთის კლუბ „ლანჩუთის გურია“ წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შპს ფეხბურთის კლუბი „ლანჩუთის გურია“ (შემდგომში – კლუბი) არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ტ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული სპორტული დაწესებულება, რომელიც შექმნილია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფ) მიერ დადგენილი ე.წ. სპორტული მემკვიდრეობის პრინციპების დაცვით ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბ „ლანჩუთის გურია“ ჩანაცვლების მიზნით.

2. კლუბი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.

3. კლუბს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, საანგარიშო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში, სხვა რეკვიზიტები.

4. კლუბის იურიდიული მისამართია : **ლანჩუთი, მდინარაძის ქ. N2.**

მუხლი 2. საქმიანობის ფორმები, უფლებები და ვალდებულებები

1. თავისი მიზნების მისაღწევად საფეხბურთო კლუბი:

- ა) ამზადებს ნიადაგს ბავშვთა საფეხბურთო გუნდების ფუნქციონირებისათვის;
- ბ) აწყობს პრეზენტაციებს, აქციებს;
- გ) აწყობს სპორტული მიღწევების გამოფენებს;
- დ) ქმნის სპორტულ ბიბლიოთეკებს;
- ე) მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ორგანიზაციულ პროგრამებსა და კონკურსებში. გამოდის პროგრამებისა და კონკურსების ინიციატორის როლში;
- ვ) ეწევა სხვა სახის საქმიანობას, რომელიც კანონით არ არის აკრძალული.

2. საფეხბურთო კლუბი ვალდებულია:

ა) დაემორჩილოს და პატივი სცეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, ფიფას და უეფას წესდებებს, დებულებებს, დირექტივებს და გადაწყვეტილებებს. ასევე უზრუნველყოს მათი დაცვა თანამშრომლების მიერ;

ბ) უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიმღები პირების თავისუფლად და კვალიფიციურად შერჩევა;

გ) მიიღოს მონაწილეობა სფ-ს და უეფას ეგიდით გამართულ საფეხბურთო შეჯიბრებებში, ყველა ოფიციალურ მატჩში (საქართველოს ჩემპიონატი, თასის გათამაშება, ბავშვთა ლიგა და ა. შ.), რომლებშიც კლუბის გუნდების მონაწილეობა განსაზღვრულია შესაბამისი შეჯიბრის დებულებებით და საჭიროების შემთხვევაში, მათში მონაწილეობის უფლება კლუბს მიღებული აქვს სპორტული და/ან შესაბამისი ლიცენზიის (არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე;

დ) გადაიხადოს წლიური საწევრო გადასახადები;

ე) აცნობოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას თავისი წესდების, დებულებების, ოფიციალურ პირთა სიის, ხელმოწერისა და სამართლებრივი ხელშეკრულებების გაფორმების უფლებამოსილების მქონე პირების შემადგენლობაში ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

ვ) არ იქონიოს სპორტული ხასიათის ურთიერთობები იმ სუბიექტებთან, რომლებიც არ არიან აღიარებული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, ფიფას ან უეფას მიერ ან უფლებამოსილება შეჩერებულ და გარიცხულ წევრებთან;

ზ) დაიცვას სპორტული ეთიკის ნორმები და სამართლიანი თამაშის პრინციპები;

თ) შეასრულოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში წესდებიდან, დებულებებიდან, ინსტრუქციებიდან და გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ვალდებულებები.

3. კლუბი უფლებამოსილია სურვილისამებრ მონაწილეობა მიიღოს ამხანაგურ მატჩებში.

4. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, ფიფას, უეფას, ან პროფესიული ლიგების წესდებებთან, დებულებებთან, მითითებებთან და გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, რომელშიც მისი რომელიმე თანამშრომელი მონაწილეობს, განსახილველად უნდა გადაეცეს სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტს, რომლის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს „საფეხბურთო დავების განმხილველ სპორტულ ტრიბუნალში“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404882409, მისამართი: ილ. ჭავჭავაძის გამზ., №76). ხოლო თუ დავა საერთაშორისო მასშტაბისაა - შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში მდებარე სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს (CAS).

5. ე.წ. სპორტული მემკვიდრეობის აღიარებასთან ერთად, კლუბზე გადადის ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ უფლებები და ვალდებულებები, რომელიც აღნიშნულია მხარეთა მიერ ხელმოწერილ შეთანხმებაში.

მუხლი 3. კლუბის მართვა

1. კლუბის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი. მერი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს კლუბის შექმნისა და გაუქმების შესახებ. წესდებას ამტკიცებს და მასში ცვლილებები შეაქვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს. კლუბის დამფუძნებლის სახელით მოქმედებს მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც:

ა) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კლუბის დირექტორს;

ბ) კლუბის დირექტორს აძლევს თანხმობას წარმოდგენილ სტრუქტურის და საშტატო განრიგის დამტკიცებაზე.

2. კლუბის დირექტორია---

3. კლუბის დირექტორი:

ა) წარმართავს კლუბის ორგანიზაციულ, ფინანსურ, სამეურნეო, ადმინისტრაციულ საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობაზე;

ბ) ამტკიცებს კლუბის ბიუჯეტს;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს კლუბის სტრუქტურას და საშტატო განრიგს;

დ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს კლუბს ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს;

ე) კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს კლუბის სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა კლუბის საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ ქონებაზე;

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კლუბის თანამშრომლებს, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს თანამშრომლებსა და დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან;

ზ) იღებს გადაწყვეტილებებს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

თ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;

ი) შეიმუშავებს და ამტკიცებს კლუბის შინაგანაწესს.

4. კლუბის დირექტორი ანგარიშვალდებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი წინაშე. კლუბის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კლუბის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელსაც მერთან შეთანხმებით დირექტორის მოვალეობის შესრულებას აკისრებს კლუბის დირექტორი.

5. კლუბის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება შინაგანაწესით.

მუხლი 4. კლუბის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება

1. კლუბის კაპიტალი განისაზღვრება მერის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
2. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად კლუბს მუნიციპალური ქონება გადაეცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. კლუბის ქონების ფორმირების წყაროები შეიძლება იყოს:
 - ა) დამფუძნებლის მიერ სარგებლობაში გადაცემული ქონება;
 - ბ) ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიასა“ და კლუბს შორის ხელმოწერილი შეთანხმებით გადმოცემული ქონება
 - გ) საკუთარი სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული ქონება;
 - დ) კანონით დადგენილი წესითა და ფორმით კლუბისათვის გადაცემული ქონება;
4. კლუბის დაფინანსების წყაროა:
 - ა) ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
 - ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
 - გ) გრანტისა და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;
 - დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობიდან მიღებული სხვა შემოსავალი.
5. კლუბი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება და შეადგინოს ბალანსი.

მუხლი 5. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

კლუბს შეუძლია მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

- ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება;
- ბ) სესხის აღება;
- გ) თავდებობა;
- დ) სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 6. კონტროლი

კლუბის საქმიანობის კანონიერებას, მიზანშეწონილობას და საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას აკონტროლებს მუნიციპალიტეტის მერი უშუალოდ, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით.

მუხლი 7. კლუბის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

კლუბის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით ახორციელებს მერი.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

წესდებაში ცვლილების შეტანა ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.